პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი

მარიამ ღლონტი

სსიპ კოლეჯი „ფაზისი“

შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი

2025

კვლევა ჩატარდა 2025 წლის აპრილი - ივლისის პერიოდში, შერეული მეთოდით, რაც მოიცავდა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ კომპონენტებს. რაოდენობრივი მონაცემები შეგროვდა ორი მიმართულებით:

- დამსაქმებელთა კითხვარი – გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სექტორის 65-მდე კომპანიამ, რომლებიც წარმოადგენენ როგორც მცირე და საშუალო, ისე მსხვილ ბიზნესს. კითხვარი მოიცავდა კითხვებს მიმდინარე და სამომავლო მოთხოვნებზე, სამუშაო ძალის დეფიციტსა და საჭირო კვალიფიკაციებზე.
- ფეისბუქ-გამოკითხვა – მიზნად ისახავდა ფართო აუდიტორიის ჩართვას და მოსახლეობის ხედვების გათვალისწინებას პროფესიული განათლების პროგრამებზე.

თვისებრივ ნაწილში განხორციელდა ფოკუს-ჯგუფური ინტერვიუ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კერძო და საჯარო სექტორის 10 მა წარმომადგენელმა – სხვადასხვა სფეროს ბიზნესის წარმომადგენლებმა და ხელმძღვანელებმა, მცირე საწარმოს მფლობელებმა, საჯარო სექტროსი წარმომადგენლებმა. ფოკუს-ჯგუფის მიზანი იყო ბაზარზე არსებულ ტენდენციებზე, მოთხოვნებზე და პროფესიული მომზადების საჭიროებებზე დეტალური ინფორმაცია მიღება.

მიღებული ძირითადი მიგნებები
კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ განსაკუთრებული მოთხოვნა:

1. სადურგლო საქმე – სამშენებლო და ავეჯის წარმოების სექტორში იზრდება მოთხოვნა კვალიფიციურ დურგლებზე. დამსაქმებლები ხაზს უსვამენ პრაქტიკული უნარების, თანამედროვე ხელსაწყოებისა და მასალების გამოყენების ცოდნის აუცილებლობას.
2. მოდის ტექნოლოგია და დიზაინი – ადგილობრივ ბაზარზე, განსაკუთრებით მცირე წარმოებებსა და ატელიეებში, მოთხოვნადია სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე დიზაინისა და შეკერვის ტექნოლოგიებს.
3. კონდიტერია, სასტუმრო და სარესტორნო მომსახურება – ტურიზმის სექტორის ზრდასთან ერთად, იზრდება მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ კადრებზე, განსაკუთრებით სასტუმროების, სარესტორნოებისა და საკონდიტრო საწარმოების მიმართულებით.
4. ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები (ICT) – ბიზნესსა და საჯარო სექტორში იზრდება მოთხოვნა IT მხარდაჭერის, ქსელური სისტემების

ადმინისტრირების და ვებგადაწყვილების მიმართულებით მომზადებულ კადრებზე.

5. ფლორისტიკა – მოთხოვნა იზრდება ღონისძიებების ორგანიზების, დეკორაციისა და საბითუმო ყვავილების ვაჭრობის სფეროში. დამსაქმებლები ითხოვენ პრაქტიკული, კომერციულად ორიენტირებული უნარების მქონე სპეციალისტებს.
6. სკოლამდელი აღზრდა – მზარდი მოთხოვნა კვალიფიციურ აღმზრდელებზე, რომლებიც ფლობენ თანამედროვე პედაგოგიურ მიდგომებს და საბავშვო განვითარების პროგრამების ცოდნას.
7. ადმინისტრაციული სერვისები – ყველა სექტორში საჭიროა დოკუმენტბრუნვის, საოფისე მართვისა და კომუნიკაციის უნარების მქონე კადრები.
8. ტვირთების ექსპედირება – ლოგისტიკის სექტორის ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნა საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზების და საბაჟო პროცედურების ცოდნაზე.
9. ბუღალტრული აღრიცხვა – განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესში მაღალია საჭიროება ბუღალტრული პროგრამების (მაგ., 1C, Oris) ცოდნის მქონე სპეციალისტებზე.
10. ელექტროობა – ინფრასტრუქტურული და სამშენებლო პროექტების ზრდის ფონზე მოთხოვნა იზრდება დაბალი ძაბვის ელექტრიკოსებზე.
11. მზის ელექტრო სადგურების (მზის პანელის) მონტაჟი – კვლევის ფარგლებში დამსაქმებლებმა დამატებით გამოკვეთეს მზის ელექტრო სადგურების მონტაჟისა და ექსპლუატაციის მიმართულებით კვალიფიციურ კადრებზე მზარდი მოთხოვნა. განახლებადი ენერგიის სექტორის განვითარების, კერძო და საჯარო ინფრასტრუქტურულ პროექტებში მზის ენერგოსისტემების აქტიური დანერგვის ფონზე, იზრდება საჭიროება სპეციალისტებზე, რომლებიც ფლობენ ფოტოვოლტური სისტემების მონტაჟის, გამართვის, ტექნიკური მომსახურებისა და უსაფრთხოების სტანდარტების ცოდნას.შედუღება – მეტალურგიისა და სამშენებლო სფეროში დეფიციტია თანამედროვე შედუღების ტექნოლოგიების მცოდნე კადრებზე.
12. მსუბუქი ავტომობილის შიგაწვის ძრავის შეკეთება – ავტოსერვისების ქსელში აქტუალურია როგორც მექანიკური, ისე ელექტრონული სისტემების დიაგნოსტიკის და რემონტის უნარები.
13. ამწის ოპერირება – სამშენებლო და ლოჯისტიკური სექტორების ზრდამ გაზარდა მოთხოვნა კვალიფიციურ ამწის ოპერატორებზე, რომლებიც ფლობენ უსაფრთხოების წესებს და თანამედროვე ტექნიკის მართვის უნარებს.
14. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები – საწარმოო პროცესებში უსაფრთხოების სტანდარტების და გარემოსდაცვითი რეგულაციების გამკაცრებამ გაზარდა შესაბამისი სპეციალისტების საჭიროება.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ადგილობრივ შრომის ბაზარზე დეფიციტურია როგორც ტექნიკური, ისე მომსახურების სფეროში მომუშავე კვალიფიციური კადრები. ტენდენცია მიუთითებს, რომ მოთხოვნა მომავალშიც გაიზრდება, განსაკუთრებით იმ სფეროებში, სადაც ტექნოლოგიური პროგრესი, ტურიზმის განვითარება და ინფრასტრუქტურული პროექტები ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს. ამიტომ, კოლეჯის მხრიდან აღნიშნული პროგრამების შემოთავაზება და განვითარება არა მხოლოდ ხელს შეუწყობს სტუდენტთა დასაქმებას, არამედ მნიშვნელოვნად უპასუხებს რეგიონის ეკონომიკური ზრდის საჭიროებებს.
კვლევამ ასევე აჩვენა, რომ რეგიონში მზარდია მოთხოვნა განახლებადი ენერგეტიკის, განსაკუთრებით მზის ელექტრო სადგურების მონტაჟის მიმართულებით კვალიფიციურ სპეციალისტებზე, რაც პროფესიული განათლებისთვის ახალი შესაძლებლობებისა და შესაბამისი სასწავლო პროგრამების განვითარების საჭიროებას ქმნის.